„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 25 (12537) | ოთხშაბათი 30 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

გმირული ნაბიჯით

დემნა შენგელაია

აი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველოებმა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო მეურნეობათა განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმების შედეგები გამოაქვეყნეს. დიდი ეკონომისტობა არ არის საჭირო, რომ თვალდათვალ დაინახო ამ სტატისტიკური მონაცემების მთელი სიდიადე და ისტორიული მნიშვნელობა. მართალია, საბჭოთა მწერლისათვის ოცნება, რეალობაზე დაყრდნობილი ოცნება ხელობაა, მაგრამ საჭირო არ არის იყო მაინცდამაინც დიდი მეოცნებე, ამ საოცნებო ციფრების აზრამ რომ აღგაფრთოვანოს. თუ გავიხსენებთ, რომ დიდი ლენინის ოცნების საგანი 10 ათასი ტრაქტორი იყო, ხოლო ელია ბავშვობაში ჩვენი ქვეყნისათვის რამდენიმე ადრონომი საოცნებოდ გადაქცეოდა, ადვილად წარმოვიდგენთ ამ მშრალი ციფრების მიღმა თუ რა დიადი მიღწევები და რა წარმტაცი პერსპექტივები იგულისხმება.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა განხორციელებით სსრ კავშირმა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ 1962 წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. მეც, როგორც ჩემი ქვეყნის შვილს, გული სიხარულის გრძნობით მევსება, რადგან ყოველივე ეს ჩვენი ხალხის კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და კულტურის ამაღლების მაჩვენებელი და მომავალში კიდევ უფრო ამაღლების საწინდარია.

ვამაყობ, დიდად მეამაყება, რომ ამ დიად საქმეში საგრძნობი ღვაწლი საქართველოსაც მიუძღვის და ამ ციფრებს როცა დავაკვირდი, ის შავგნელი დრო მაგონდება, როდესაც კალოშის ჩაცმა მხოლოდ მდიდარს შეეძლო, ხოლო ტრამვაი წყობიდან იმიტომ გამოდიოდა, რომ საბიგელე ფოლადის რალაც უმნიშვნელო შტოკი არ იშოვნებოდა.

ახლა?... აი ჩვენი დღევანდელი საქართველო: შავი მეტალურგია, კოქსი და ქვანახშირი, ელექტროფიკაცია და დიდი ქიმია, მანქანათმშენებლობა და ავტომობილმშენებლობა... ჩაი, ვენახი და სიმინდი... ვინ მოთვლის იმ დოვლათს, ჩვენმა გამრჯე მშრომელებმა ამ ერთ წელიწადში რომ დაახვავეს. ახლა ქარხნები, ბინათმშენებლობა... და ჩვენმა ხალხმა არამც თუ შვიდწლედის მეოთხე წლის, ჩაის წარმოებაში შვიდწლედის გეგმაც კი შეასრულა.

ეს ხომ ჩვენი მეცნიერების კიდევ უფრო აყვავების საფუძველია, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავალი გზით სიარულის მომასწავებელია. მხოლოდ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მრეწველობის საერთო პროდუქციამ ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში 30 პროცენტით იმატა. საყურადღებოა, რომ ახლანდელი სამრეწველო განვითარების ერთი წელი ომამდელ თითქმის 13 წელს უსწორდება. ამ ხნის მანძილზე საბჭოთა კავშირის 50 მილიონზე მეტმა მოქალაქემ მიიღო კეთილმოწყობილი ახალი ბინა.

თუ ქართველი ხალხი თავისი წარსულის კულტურით დამსახურებულად ამაყობს, ახლა მისი დღევანდელი კულტურა მართლაც რომ საზღაპროა. როგორც საქართველოს სტატისტიკური სამმართველო იუწყება, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 747 ათასიდან მომდინარე სასწავლო წელს 804 ათასამდე ავიდა. ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხვმა ერთ წელიწადში 10 პროცენტით იმატა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამგებლობაში გასული წლის დამლევისათვის 2.611 მასობრივი ბიბლიოთეკა და 1.499 კლუბი იყო. წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ტირაჟმაც საგრძნობლად იმატა.

ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ძალაუნებურად მეხატება თვალწინ ამრეზილი სახე ამერიკელი კონგრესმენებისა და ბიზნესმენებისა. ამ დროს, როდესაც შეერთებული შტატების მრეწველობის წარმოება 3 პროცენტსაც ვერ აღწევს, ჩვენი მრეწველობა მართლაც რომ გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ და სულ წინ.

ჩვენს სტატისტიკურ ანგარიშებში არის ორი უცვლელი პარაგრაფი. თუ ყველა მაჩვენებელი თითქმის ასტრონომიულ რიცხვს უდრის და მუდამ მატულობს, უმუშევართა და წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი დიდი ხანია ნულს უდრის.

არის კიდევ ერთი რამ, რის აღრიცხვაც არავითარ სტატისტიკას არ შეუძლია, ეს საბჭოთა ხალხის შესანიშნავ შვილთა შემოქმედებაა. ეს ჩვენი ხალხის მრავალსაუკეთესო წარმომადგენლის გენიაა. მათი გენიის აღრიცხვა არ შეიძლება, მაგრამ არც მათი გენიის წარმოშობა შეიძლება უამრიცხვებოდ. განა გაგარინი, ტიტოვი და ჩვენი ცხოვრების სხვა შუქურები ასეთივე მოვლენანი არ არიან?

ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და ზრდის ციფრები თავისთავად დიდებულია, აღსავსეა აგრეთვე დიდებული პერსპექტივებით. ჩვენი ხალხი დაძაბული შრომით მიემართება კომუნიზმისაკენ, ყოველდღიურად ახორციელებს ამ იდეას.

ტექნიკა მგზავრობაშია

„საქსოფლტექნიკის" გეგეჭკორის რაიონული განყოფილების (მმართველი ალ. წოწორია) მექანიზატორები გონივრულად იყენებენ ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შვიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხულს მომზადებული შეხვდნენ.

მექანიზატორებს გეგმით უნდა შეეკეთებინათ 41 ტრაქტორი. ეს დავალება ვადაზე ადრე გაანღდეს. ამასთან ერთად კაპიტალური რემონტი გაუკეთეს სარემონტო სახელოსნოს. ახლა აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მანქანების შეკეთება მოაწყონ საგარანტიო წესით.

ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდის სათესი მანქანის შეკეთება. სულ შესაკეთებელია 5 მანქანა. მანქანების წესრიგში მოყვანას უახლოეს დღეებში დაამთავრებენ.

ამ დღეებში მოეწყო მექანიზატორთა კვალიფიკაციის შემოწმება. 27 გამოცდილ მექანიზატორს მიენიჭა პირველი თანრიგის მექანიზატორის კვალიფიკაცია, ხოლო 32 ტრაქტორისტს მეორე თანრიგის მექანიზატორის კვალიფიკაცია.

ახლა გამოცდილი მექანიზატორები არა მარტო საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობენ და საგაზაფხულო კულტურების დასათესად ამზადებენ ნიადაგს, არამედ ზრდიან მექანიზატორთა ახალ თაობას. გადაწყვეტილი აქვთ გორელ მექანიზატორთა მაგალითისამებრ თვითეულმა მექანიზატორმა ტრაქტორის მართვა შეასწავლოს 2-3 კოლმეურნეს.

შ. ზანათელი.

გზაჯვარედინზე — ლირსეული შეხვედრა!

ინიციატორთა პირველი ნაბიჯები

მიმდინარე წლის 16 იანვარს გორის საწარმოო სამმართველოს მოწინავე მექანიზატორებმა რესპუბლიკის ყველა მექანიზატორს მიმართეს მოწოდებით, რომ სოფლის ყველა მშრომელს შეასწავლონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვა, ფლობდნენ ერთ-ერთ პროფესიას, რომ ამ გზით შესაძლებელია ხელით შრომა მანქანებმა შეცვალონ.

ეს პატრიოტული მოძრაობა გორის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში ფართოდ ვრცელდება. პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგმულია. საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში 467 კაცი სწავლობს ტრაქტორისტის, კომბაინერის, მჭედლისა და ელექტროშემდუღებლის პროფესიას.

ეს მუშაობა ორგანიზებულად დაიწყო მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში. აქ ამზადებენ 6 ტრაქტორისტს და 1 კომბაინერს. ზეიდულეთის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტობას სწავლობს 8 კაცი, ქარელის კოლმეურნეობაში — 5 კაცი.

საკოლმეურნეო მინდვრებზე საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა. მინდვრად ტრაქტორები გუგუნებენ. ვენახისა და ხეხილის ბაღის გასაშენებლად უკვე მომზადებულია 250 ჰექტარი პლანტაჟი, საგაზაფხულო კულტურების დასათესად მოიხნა 850 ჰექტარი. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს თესლის მომარაგება და სრულ კონდიციამდე აყვანა.

კოდელეგი — მოწინავე ხაზზე

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივანე დალაქიშვილი სატრაქტორო პარკში იყო. მექანიზმის თვითეულ დეტალს საკუთარი ხელით სინჯავდა.

— რამდენი ტრაქტორი იმუშავებს წელს თესვაზე?

— ვეკითხებით კოლმეურნეობის თავკაცს.

— თოთხმეტი. თოთხმეტივე დაკომპლექტებულია მექანიზატორებითა და მიესაბმელი სათესი მანქანებით. გვინდა თესვა თხუთმეტ დღეში დავამთავროთ.

კოლმეურნეობას მზად აქვს ყველა სახის თესლი. ფართობებში გატანილია 800 ტონამდე ორგანული სასუქები. კოდელებმა გადწყვიტეს სიმინდის დამუშავების დროს ნიადაგში შეიტანონ სულ ცოტა 200 ტონა მინერალური სასუქი.

(საკ. კორ.).

დაიწყო ტრესტების ვაგის გასხვლა

ყვარელი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). მზიანი დღეებია. მინდვრად ბეკითად შრომობენ ყვარელი მხვნელ-მთესველები. მაღალი ტემპი აიღეს მექანიზატორებმა. მათ რაიონში არსებული 406 ტრაქტორიდან უკვე შეაკეთეს 373. წელს საგაზაფხულო კულტურები უნდა დათესოს 12.000 ჰექტარი. მზრალად მოხნულია 8.300 ჰექტარი. იანვარში მექანიზატორებმა მოხნეს 2.000 ჰექტარზე მეტი.

ახლა საგაზაფხულო ხვნაზე 150 ტრაქტორი მუშაობს და ეს საუშაო უახლოეს დღეებში დამთავრდება. აღსანიშნავია ის, რომ წელს გასულ წლთან შედარებით საგრძნობლად იზრდება სიმინდის, სპარცვლე პარკოსნებისა და შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი. ახალსოფლის ლენინის სახელობის და მარჯახიშვილის სახელობის, ჭიკაანის მარქსის სახელობის, გავაზის ენგელსის სახელობის, ენისლის ფდანოვის სახელობის კოლმეურნეობები წელს 20-20 ჰექტარ ლობიოს დათესავენ.

ყვარელმა მხვნელ-მთესველებმა თავიდანვე იზრუნეს თესლის მომარაგებაზე და კონდიციამდე აყვანაზე. ყვარლის საწარმოო სამმართველოში საჭირო 5.221 ცენტნერი სიმინდის თესლის ნაცვლად აქვთ 10.000 ცენტნერზე მეტი. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცევა „კრასნოდარა-კა-5" ჯიშის სიმინდის თესვას. ეს ჯიში ასობით ჰექტარი დათესება. საჭიროზე ორჯერ მეტი გამოყვეს ბარდის თესლი და წელს ეს კულტურა 700 ჰექტარს დაიკავებს.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში უკვე შეუდგნენ ბარდის თესვას. პირველი ჰექტარები დათესეს გავაზის, ჭიკაანის, ყვარლის კოლმეურნეობებმა. თესლისათვის მზადებაში დაწინაურდნენ ახალსოფლის, გრეშის, კალინოვკის, შრომის და სხვა კოლმეურნეობები.

ყვარლელები დიდ ყურადღებას უთმობენ ვეხახების მოვლა-დამუშავებას. 3.500 ჰექტარი ვეხახი მთლიანად მოხნულია და გამობარულია. გაჩაღდა ვეხის გასხვლა და საყრდენი მასალის მომზადება. მევენახეებმა უკვე გასხლეს 1.000 ჰექტარზე მეტი.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს მეცნიერები ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროში გაიმართა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო და ბიოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციათა მდივნების თათბირი, რომელიც მიეძღვნა ინსტიტუტის ამოცანებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შემდეგ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა მეგობაროვის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ნ. ხომიზურაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ პრაქტიკასთან მეცნიერების უფრო მჭიდროდ დაახლოების საქმეში, რომ საჭიროა საკითხების შესწავლის კომპლექსური მეთოდის გამოყენება არა მარტო ერთ ინსტიტუტში, არამედ სხვადასხვა ინსტიტუტებს შორისაც, თქვა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი პრობლემისა და თემის ეკონომიურ დასაბუთებასა და გაანგარიშებას ინსტიტუტის თემატურ გეგმაში შეტანისათვის.

— ჩვენმა ინსტიტუტმა, — თქვა ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ალადიძემ, — ნოემბრის პლენუმის მასალების განხილვის შემდეგ გადაწყვიტა გაანგრძოს მუშაობა ოთხ უაღრესად აქტუალურ პრობლემაზე, რომლებიც 20 თემას აერთიანებენ. ორატორმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიიქცია იმას, რომ მიზანშეწონილია პატარა და მცირე სამლაბორატორიები გაერთიანდეს დიდ, თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილ ლაბორატორიებად. მომდინარე წელს ინსტიტუტმა დაამთავრა დიდნაწილობენელოვანი თემის შემუშავება იმის შესახებ, რომ კოლხეთის დაჭაობებული ნიადაგები ათვისებულ იქნეს დახურული დრენაჟის საშუალებით. ამ საფუძველზე დაპროექტებულია განხორციელდეს დახურული დრენაჟი 234 ჰექტარზე ქობულეთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში.

პლენუმის მასალები, აცნობა თათბირს საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა დოცენტმა ვ. მამათელაშვილმა, ფართოდ განიხილა ინსტიტუტის პარტიულმა კრებამ. კრებამ მოიწონა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უფრო უნარიანად გამოიყენონ არსებული საყრდენი ბაზები, რათა პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში. ინსტიტუტის მეცნიერ შუშაკთა დახმარებით შესწავლილია და წარმოებაში ინერგება საკვების ღია დასილოსების, რესპუბლიკის მაღალი მთის ზონებისათვის ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების ძროხის გამოყვანის, ძროხის რძის ცხიმიანობის გადიდებისა და სხვა ახალი მეთოდები.

პლენუმის მასალებს განხილვის შემდეგ, ამბობს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დოცენტი ზ. ხანთაძე, ინსტიტუტის მუშაკებმა მოამზადეს და მალე წარმოებაში დასანერგავად გადასცემენ ცხვრის საპარს ახალი სისტემის მანქანას, ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასამუშავებელ ახალი ნიმუშის მანქანებს. ინსტიტუტის კოლექტივმა შეიმუშავა წიწილების გამოსაყვანი ავტომატის ტექნოლოგიური სქემა. ავტომატი აღჭურვილია როტორული ტიპის დანადგარით. ეს სიახლე უახლოეს ხანში დაინერგება სამგორის სანაშენო მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში.

თათბირზე ინფორმაცია გააკეთეს აგრეთვე ა. მინდაძემ — მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, პროფესორმა ი. გიორგაბეიძემ — სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, გ. ბადრიშვილმა —საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მეცნიერებისა და კადრების მომზადების მთავარი სამმართველოს უფროსმა მოადგილემ.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ბიოლოგიის მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ". იმისათვის, რომ წარმატებით განვითარდეს ბიოლოგიის მეცნიერება რესპუბლიკაში, აღნიშნეს, რომ მზადება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის, რომელიც მიმდინარე წლის მარტში გაიმართება და განხილავს საკითხს —„რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა ამოცანები სკკპ XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1962 წელი) პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით", ახალ სტიმულს მისცემს მეცნიერებს, რომ გააკეთონ ნაყოფიერი ბრძოლა იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ბიოლოგიური ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების წინაშე.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. შ. ი. ჯანუყაძემ.

ზროამითს ვახტზე

ახალი მაღარო

ჭიათურა. (საკ. კორ.). მალაროთმშენის სამმართველოს კოლექტივმა ამ დღეებში დაამთავრა დარკვეთის მაღაროს მესამე რიგის მშენებლობა. რომელიც უკვე ჩადგა მწყობრში.

მაღაროს მშენებლობაზე თავი ისახელეს იმ უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც სამუშაოთა მწარმოებელი გ. ხვედელიძე და ა. ზაქარაშვილი ხელმძღვანელობდნენ.

ახალი მაღარო სამშობლოს „ყოველწლიურად ასეულ ათასობით ტონა მარგანეცს მისცემს.

მეაგურეები დაწინაურდნენ

ხაშურის აგურის ქარხანამ შვიდწლედის მეხუთე წლის დამდეგს ახალი წარმატება მოიპოვა. აქ პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა 21 რიცხვისათვის შესრულეს.

ამ წარმატების მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანეს კომუნისტური შრომის ცალებმა, რომლებსაც ა. კვესაძე და ქ. ტალახაძე მეთაურობენ.

ქარხნის კოლექტივმა-დაგაწყვეტა საქართველოს უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად პირველი კვარტალის გეგმა საბჭოების არჩევნების დღისათვის შეასრულოს და დარჩენილ დროში გეგმის გადამეტებით 300 ათასი ცალი აგური გამოუშვას.

დ. ფარემუზოვი.

ელექტროენერგია ბელორუსიიდან

ვარშავა, 29 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, რომ პოლონეთში საექსპლოატაციოდ გადაეცა ელექტროგადაცემის ახალი ხაზი, რომელიც საბჭოთა ენერგეტიკულ სისტემას ბელოსტოკის სავოევოდოს ენერგოსისტემასთან აკავშირებს. ქალაქი ბელოსტოკი და მისი მოსაზღვრე რამდენიმე მაზრა ბელორუსიიდან მიიღებს ელექტროენერგიას.

ელექტროგადაცემის ახალი ხაზი შესაძლებლობას ქმნის განხორციელდეს ბელოსტოკის სავოევოდოს შემდგომი ელექტრიფიკაცია. უკვე წელს ამ სავოევოდოში დაგეგმილია 168 დასახლებული პუნქტის ელექტრიფიკაცია.

ერთსულოვანი მოწონება

რუსთაველი ქიმიკოსები მხარს უჭერენ გორკის ოლქის ქიმიური მრეწველობის მუშაკთა ინიციატივას

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი ინტერესით გაეცნენ რუსთავის ქიმიკოსები გორკის ოლქის ქიმიური და ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა ინიციატივას — მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება ქიმიურ პროდუქტთა წარმოების 1963 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და შინაგანი რეზერვების გამოყენების გზით მოქმედ წარმოებათა გაფართოებისათვის.

რუსთაველმა ქიმიკოსებმა აიღეს ვალდებულება შარშანდელთან შედარებით წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან მილიონობით მანეთის პროდუქცია. ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებით, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით 36 პროცენტით გაზარდონ ამიაკის წარმოება, 18 პროცენტით აზოტმჟავას წარმოება, ხოლო 21 პროცენტით ამონიუმის გვარჯილის წარმოება, 34 პროცენტით გაიზრდება მინერალური სასუქების წარმოება საერთო დონე.

პროდუქციის წარმოების ზრდას ქიმიკოსები აგრეთვე უზრუნველყოფენ ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებით. წელს საექსპლოატაციოდ გადასცემენ კაპროლაქტამის წარმოებას, რომელიც კაპროლაქტამთან ერთად გამოუშვებს ამონიუმ სულფატს.

მხარს უჭერენ რა გორკის მშრომელთა ინიციატივას, რუსთაველი ქიმიკოსები პირობას იძლევიან შეამცირონ ქიმიური ობიექტების მშენებლობის ვადები. ვადამდე აამუშაონ ახალი სიმძლავრეები. აქვე ისინი აცხადებენ, რომ 1963-64 წლებში განახორციელებენ მთელი რიგი საამქროების რეკონსტრუქციას. დადგამენ დამატებით ტექნოლოგიურ მოწყობილობებს და ახლო მომავალში გადაქცევენ თავიანთ ქარხანას კომბინატის ტიპის საწარმოდ.

კუბის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ალბერტო მორა გ. დ. ჯავახიშვილს ეწვია

29 იანვარს კუბის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი და წევრები მთავრობის სავაჭრო დელეგაციისა, რომელსაც იგი მეთაურობს, ეწვივნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

გ. დ. ჯავახიშვილი გულთბილად მიესალმა კუბელ ამხანაგებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აღტაცებული არიან ახალი ცხოვრების მშენებელი სახელოვანი კუბელი ხალხის სიმამაცით და შრომისმოყვარეობით.

მისალმების პასუხად კუბის დელეგაციის მეთაურმა თქვა:

— ჩვენ მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ეწვეოდით საქართველოს და ერთადერთი, რასაც ვნანობთ, ის არის, რომ ჩვენი აქ ყოფნა ხანმოკლე იქნება. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ მიღებით, რაც აქ მოგვიწყეს.

გ. დ. ჯავახიშვილმა უამბო სტუმრებს, თუ როგორ ვითარდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა და კულტურა, უპასუხა მათ კითხვებზე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოები კუბას აწვდიან სხვადასხვა სახეობის პროდუქციას. ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უსურვებს კუბელ ძმებს ახალ დიდ წარმატებებს თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

მიღებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ჩოგოვაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი კუბის რესპუბლიკაში პ. ო. საკუნი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ი. ი. დოკუჩაევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოთა სახელმწიფო საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე და სხვები.

სადილმა დიდი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში

29 იანვარს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა გამართა სადილი კუბის რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ კუბის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ალბერტო მორა, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს დირექტორი ალბერტო ბრავო, ამავე სამინისტროს მოწყობილობის იმპორტის სამმართველოს დირექტორი ერიელ პიკოტი, ქიმიური საქონლის გაერთიანების თავმჯდომარე ხოსე-მარსიალ ბაროსი, გაერთიანების თანამშრომლები ალბერტო პერესი და ადუარდო მუნოსი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სახელშეკრულებო-სამართლებრივი სამმართველოს უფროსი დელიო ბატისტა.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ი. ი. დოკუჩაევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოთა სახელმწიფო საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე და სხვები.

საბჭოთა დელეგაცია ტანგანიკაში გაემგზავრა

მოსკოვი, 29 იანვარი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან მოშიში (ტანგანიკა) აზიისა და აფრიკიის ხალხთა სოლიდარობის მესამე კონფერენციაზე გაემგზავრა საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის დელეგაცია კომიტეტის თავმჯდომარის მუშაკ მირზო თურსუნ-ზადეს მეთაურობით.

დელეგაციაში შედიან: კ. ა. გუსეინოვი, დ. ი. დოლიძე, ნ. ჯანდილდინი, დ. ბ. შეელაგინი, ა. ვ. სოფრონოვი, ვ. ფ. ტიტოვი, ბ. ვ. კარპოვიჩი, ვ. მ. ზხიკაძე და ვ. მ. კოლონტაი.

აეროდრომზე გაფრენის წინ მირზო თურსუნ-ზადემ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და პროგრესი, ყველა კეთილ ნებას ადამიანი დიდ სიხარულს განიცდის: 4 თებერვალს აფრიკის შიგნეულ ქვეყანაში ტანგანიკაში გაიხსნება აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მესამე კონფერენცია. ახლა, როცა მთელი კაცობრიობის მეცადინეობა მიმართულია იქით, რომ შემდგომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და აღიკვეთოს ატომური ომის საფრთხე, ხალხთა სოლიდარობას, მათ ერთობას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. მოშის კონფერენცია მოწოდებულია დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ კეთილშობილურ საქმეში.

ჩვენი დელეგაცია, რომელშიც შეიყარა საბჭოთა საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, ყოველ ღონეს იხმარს, რომ განამტკიცოს აზიისა და აფრიკის ხალხთა ერთობა, ხელი შეუწყოს კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციის საქმეს.

კუბელი მეგობრები საქართველოში

კუბის რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საგარეო ვაჭრობის მინისტრი ალბერტო მორა, ეცნობა ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. 29 იანვარს დელეგაციის წევრები ავტომანქანებით გამემგზავრნენ ქალაქ რუსთავში. ჩვენი რესპუბლიკის ამ ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრს გაცნობა მათ დაიწყეს მეტალურგიული ქარხნით.

საწარმოს მთავარი ინჟინრის მოადგილესთან ზ. დ. ჩხეიძესთან საუბარში სტუმრები დაინტერესდნენ წარმოების ორგანიზაციის საკითხებით, იმ პროდუქციით, რომელსაც ქარხანა უშვებს. მათ აცნობეს, რომ რუსთაველი მეტალურგები კუბას უგზავნიან ფოლადის უნაკერო მილებსა და მოთუთიებულ, მავთულს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

კუბის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ალბერტო მორამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა:

— საბჭოთა ადამიანები ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ კუბელ ხალხს. ყველგან, სადაც კი ვიყავით, შევიტყეთ, რომ საბჭოთა საწარმოები დიდძალ სხვადასხვა საქონელს აწვდიან კუბას.

დელეგაციის წევრთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. დ. ვიშნიაკოვის ნაამბობმა. მან ილაპარაკა რუსთავის წარმოშობის ისტორიაზე, ქალაქისა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ აღნიშნა თავისი 15 წლისთავი.

რუსთავიდან დაბრუნების შემდეგ კუბის მთავრობის დელეგაცია ეცნობოდა თბილისს. სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ძველი ნაწილი, საბინაო მშენებლობის ახალი რაიონები. აქ, თქვეს მათ, ბევრი რამ მოგვაგონებს ჩვენს მშობლიურ ქვეყანას. (საქდესი).

ინგლისმა უნდა გასწიოს

ნიუ-იორკი, 29 იანვარი. (საკდესი). შეერთებული შტატები მოითხოვენ, რომ ინგლისმა გასწიოს ხარჯები, რაც უკავშირდება არა მარტო ამერიკის რაკეტის „პოლარისის" შეძენას, არამედ მისი სრულყოფის სამუშაოებსაც. ამასთან პენტაგონის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ინგლისს „არ მიეცემა არავითარი სუბსიდია".

ინგლისელ მოლაპარაკეებს კვლავ ჩიხშია

პარიზი, 29 იანვარი. (საკდესი). გუშინ ბრიუსელში უნდა დაწყებულიყო ინგლისის „საერთო ბაზარში" შესვლის შესახებ მოლაპარაკების ახალი ტური, მაგრამ ბრიუსელის მოლაპარაკებაზე ინგლისის დელეგაციის მეთაურმა ჰიტმა მაინც ვერ მოახერხა მოლაპარაკების დაწყება. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობებიდან ჩანს, „საერთო ბაზრის" მონაწილე ქვეყ

სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მემკვიდრეობითობის მიმართული შეცვლის თეორიული საფუძვლები

აკადემიკოსი ჯ. დ. ლისენკო

მცენარეთა მემკვიდრეობითობის მართვის საკითხზე მოწვეული ჩვენი კონფერენცია დიდ ინტერესს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და ბიოლოგიური თეორიისათვის. აქ მოსმენილ იქნა 70-ზე მეტი მოხსენება. ბევრ მათგანში ნაჩვენები იყო, რომ სხვადასხვა რაიონში შემოდგომის პირობების გარკვეული მოქმედებით სავსებით არაზამთარგამძლე საგაზაფხულო პურეული, 2-3 წელიწადში (2-3 თაობაში) იქცევა მემკვიდრეობით საშემოდგომო ჯიშად, რომლებიც კარგად იტანენ ზამთარს. და, პირიქით, საშემოდგომო ჯიშები გაზაფხულის პირობების მოქმედებით საგაზაფხულო ჯიშებად იქცევა.

ამგვარ ექსპერიმენტებს, რომლებშიც ღრმა თეორიული საკითხები წყდება პრაქტიკულად დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრის გზით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქმედითი ბიოლოგიის აგებისათვის. ასეთ ექსპერიმენტებში პრაქტიკა გამდიდრის არა მარტო თეორიული ვარაუდების სისწორის კრიტერიუმად, არამედ ორგანული სამყაროს სიცოცხლისა და განვითარების ბიოლოგიური კანონების შეცნობის, ცხადყოფის მთავარ საშუალებადაც.

ვის შეუძლია ახლა, ვინც იმ მოხსენებებს იცნობს, რომლებიც ამ კონფერენციაზე გაკეთდა, სერიოზულად დაეჭვდეს იმაში, რომ შესაძლებელია არაცოცხალი გარემოს პირობებიდან სრულიად არაზამთარგამძლე მცენარეების, მაგალითად საგაზაფხულო ხორბლის ან ქერის, საშუალებით გამოიმერწოს ან შეიქმნას, ამ სტატიის პირდაპირი მნიშვნელობით, საშემოდგომო მცენარეები, რომლებიც კარგად იტანენ ზამთარს. სურვილისამებრ შეიძლება არაზამთარგამძლე საგაზაფხულო ჯიშს შევუცვალოთ მხოლოდ ნაწილი მემკვიდრეობითი თვისებებისა, შევინარჩუნოთ მას მხოლოდ მემკვიდრეობითი ზამთარგამძლეობა, დანარჩენ მემკვიდრეობითს თვისებებს კი თითქმის არ შევეხოთ. შეიძლება შევცვალოთ ბევრი სხვა მემკვიდრეობითი თვისებაც, მაგალითად, წვრილი თავთავი შევცვალოთ უფრო მსხვილით ან გავაუმჯობესოთ მარცვლის ხარისხი. შეიძლება, თუ ეს საჭიროა, ერთი ბიოლოგიური სახეობა ვაქციოთ სხვა სახეობად, მაგალითად, მაგარი 28 — ქრომოსომიანი ხორბალი **triticum durum** რბილ 42 —ქრომოსომიან **triticum vulgare-დ.**

ახლა უკვე თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ **ჩვენი მეცნიერება დაეუფლა მემკვიდრეობითობის მიმართული შეცვლის საკითხს და, როგორც არ უნდა იცვლებოდეს მცენარეულ ორგანიზმებზე ზემოქმედების საშუალებანი, — პრიორიტეტი ამ დიდმნიშვნელოვანი თეორიული ადმოჩენისა ბიოლოგიურ მეცნიერებაში რჩება საბჭოთა კავშირს, მიჩურინულ ბიოლოგიას.**

ბიოლოგიური თეორიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხთა გადაჭრაში ჩვენნი ჩაებნენ და ებმებიან ათობით, ასობით და ათასობით მეცნიერი მუშაკები, სპეციალისტები, მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამაში მდგომარეობს ჩვენი საბჭოთა, მიჩურინული ბიოლოგიის მეცნიერული ძალა. მას ადამიანთა მასები ქმნიან. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა მატერიალური და მორალური პირობა შექმნეს იმისათვის, რომ მეცნიერებას ეზიარონ მშობიერთა ფართო ფენები. ჩვენს პირობებში კამათს, ხიბლეულებს ბიოლოგიის ღრმა თეორიულ საკითხებზე საბოლოო ანგარიშით პრაქტიკის მუშაკები წყვეტენ. იმარჯვებს მხოლოდ ის თეორია, რომლის საფუძველზეც ვიღებთ შრომის შემამსუბუქებელ, მისი ნაყოფიერების ამამაღლებელ საშუალებებს.

ამ კონფერენციაზე მომხსენებელთა უდიდეს უმრავლესობას სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა სელექციონერები წარმოადგენენ. მათი პრაქტიკაა პურეულისა და სხვა კულტურების კარგი ჯიშების შექმნა, თავისთავად გასაგებია, რომ ჯიშების შექმნის დროს სხვადასხვა შემთხვევაში საჭიროა სხვადასხვა, უკვე ცნობილი საშუალებების გამოყენება, აგრეთვე ახალ საშუალებათა განუწყვეტლივ შემუშავება. ფართოდ ცნობილი ჩვენი სელექციონერები ვ. ს. პუტოგოროტი, პ. პ. ლუკიანენკო, ფ. გ. კორჩაგინი, ვ. პ. კუზმინი და სხვები ქმნიდნენ და ქმნიან კარგ ჯიშებს იმიტომ, რომ, იციან რა პრაქტიკის მოთხოვნილებანი, თეორიაში მათ უკვე დიდი ხანია შეიცნეს მცენარეული ფორმების შექმნაში სიცოცხლის პირობების, გარემოს პირობების როლი და მნიშვნელობა.

ამ კონფერენციაზე სპეციალურად დაყენებული იყო მოხსენებანი, რომელთა უმრავლესობა მიძღვნილია საგაზაფხულო ინოკულიაციისა და ბიოლოგიური ფაზის ფორმირებისადმი. ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ დიდმნიშვნელოვან პრაქტიკულ საქმეზე გვეჩვენებინა ქმედითობა ბიოლოგიის ძირითადი მატერიალისტური დებულებისა, რომელიც ამბობს, რომ ორგანული სამყაროს განვითარებაში წამყვანია გარემოს პირობები, უფრო სწორად, სიცოცხლის პირობები. კონფერენციაზე გამოსვლებმა ცხადყო, რომ ამ თეორიული დებულების საფუძველზე ასობით ადამიანი, უმთავრესად ახალგაზრდა სელექციონერები, მეტ-ნაკლებად უკვე დაეუფლა და ეუფლება არაზამთარგამძლე პურეულის ზამთრის კარგად ამტან ფორმებად გადაქცევის საშუალებებს.

უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის ველებიანი რაიონებისათვის მიჩუმოქმედების ისტორიაში პირველად საშემოდგომო მაგარი ხორბლის შედარებით ზამთარგამძლე ჯიშები. ამას საუფლველი ჩაუყარა ფ. გ. კორჩაგინმ, რომელმაც შექმნა საშემოდგომო ხორბალი „მიჩურინკა“. ახლა მას აქვს მაგარი ხორბლის ბევრი სხვა, კიდევ უფრო კარგი საშემოდგომო ფორმა. საშემოდგომო მაგარი ხორბლის ფორმები არაზამთარგამძლე საგაზაფხულო ფორმების გარდაქმნის გზით მიღებულია ამავე სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტში (ოდესა) ვ. ფ. ხიტრინსკის, დ. ა. დოლგუშინის მიერ. საშემოდგომო მაგარი ხორბლის ფორმები მიიღეს აგრეთვე ვ. ზ. სერგეევმა როსტოვში და სხვა; ამხანაგებმა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას.

რით უნდა აეხსნათ, რომ წინათ ვერც პრაქტიკოსებმა, ვერც მეცნიერმა სელექციონერებმა ვერ შეძლეს შექმნათ მაგარი საშემოდგომო ხორბლის ფორმები აღნიშნული რაიონებისათვის? ასეთი ცდები ხომ არაერთხელ ყოფილა განხორციელებული. დავიმოწმებ საშემოდგომო მაგარი ჯიშის ხორბლის გამოყვანის მიზნით საგაზაფხულო მაგარი ჯიშების საშემოდგომო რბილ ჯიშებთან შეჯვარებაზე კარგახნის წინათ გაწეულ დიდ მუშაობას ბეზენჩუკის სადგურში. მთელ რიგ სხვა ადგილებშიც აგრეთვე მიმართავენენ ცდებს შექმნათ საშემოდგომო მაგარი ხორბლის ჯიშები, მაგრამ ამ ცდების დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ეს იმით აიხსნება, რომ არ იყო ბიოლოგიური თეორია, რომელიც სწორად ცხადყოფდა გარემოს პირობების როლსა და მნიშვნელობას ორგანული ფორმების შექმნასა და სიცოცხლეში. აი რით აიხსნება წარუმატებლობა მეცნიერთა სელექციის ამ და ბევრი სხვა ანალოგიური საკითხის გადაჭრაში.

ვ. ნ. რომესლო, რომელიც სამუშაოდ გადაიდგა მიჩურინოვის სასელექციო სადგურში, სწორედ და ბრწყინვალედ დაეუფლა საგაზაფხულო არაზამთარგამძლე ხორბლის ჯიშებიდან ზამთრის კარგად გადამტანი საშემოდგომო ჯიშების მიღების საშუალებას. მაგარ საგაზაფხულო ხორბალ „ნაროდნაიადან“ მან მიიღო კარგი საშემოდგომო რბილი ხორბალი „მიჩურინოვსკაია-264“. იმაზე, თუ რა ჯიში ეს და როგორ მუშაობს ვ. ნ. რომესლო, შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც შემდეგის მიხედვით. მან ეს ჯიში შესაფასებლად და შესამოწმებლად გადასცა სახელმწიფო ჯიშთგამოცდას 1957 წელს, ხოლო უკვე 1962 წლის შემოდგომაზე 1963 წლის მოსავლის მისაღებად ახალი ჯიში დათესილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთ მილიონზე გაცილებით მეტ ჰექტარ ფართობებზე. იმავე საშუალებით მან საგაზაფხულო ხორბალ „არტემოვკადან“ მიიღო კიდევ უფრო კარგი საშემოდგომო ჯიში — „მიჩურინოვსკაია-808“, მაღალმოსავლიანი და უფრო ყინვაგამძლე, ვიდრე საშემოდგომო ხორბლის ყველა სხვა ჯიშებია, რომლებიც ამჟამად უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის მინდვრებზე იოესება. 1960 წელს ვ. ნ. რომესლომ თავისი ახალი ჯიში გადასცა სახელმწიფო ჯიშთგამოცდას, ხოლო უკვე 1962 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იგი 1963 წლის მოსავლის მისაღებად დათესეს დაახლოებით 20 ათას ჰექტარ ფართობზე. ეჭვი არ არის, რომ ორი-სამი წლის შემდეგ ეს ხორბალი მილიონობით ჰექტარს დაიკავებს.

ვ. ნ. რომესლოს მარაგში აქვს საშემოდგომო ხორბლის აგრეთვე სხვა ახალი, კარგი ჯიშები, რომლებიც საგაზაფხულო ჯიშებიდან არის მიღებული. ვფიქრობ, რომ სხვა სელექციონერებიც, რომლებიც საშემოდგომო კულტურებზე სხვა რაიონებში მუშაობენ, უახლოეს წლებში დიდ წარმატებებს მიაღწევენ სულ უფრო და უფრო კარგი ჯიშების გამოყვანაში.

სასიამოვნოა, რომ სელექციონერებმა ციმბირის რაიონებისათვის დაიწყეს საგაზაფხულო ხორბლის კარგი ჯიშების შექმნა დიდთავთავიანი საშემოდგომო ჯიშებიდან, რომელთა მარცვალი ძვირფასი თვისებებით ხასიათდება. ამაზე მოახსენეს კონფერენციის ს. ტ. ბოგომიაკოვმა — ალტაის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის (ბარნაული) მუშაკმა, აგრეთვე გ. პ. ვისოკოსმა — ციმბირის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის (ომსკი) მუშაკმა. მათ საშემოდგომო ხორბლის მთელი რიგი ჯიშები უკვე გადააქციეს კარგ საგაზაფხულო ჯიშებად. ამხ. ვისოკოსმა მაღალმოსავლიანი საშემოდგომო ხორბალი „უფხო-1“ გადაქცია საგაზაფხულო ხორბლად. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საშუალებით დასავლეთ ციმბირისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკის ყამირის მხარის სელექციონერები შეძლებენ უახლოეს წლებში მოგვცენ საგაზაფხულო ხორბლის მთელი რიგი კარგი ადრეული ჯიშები.

სიმინდის კარგი ჯიშებისა და ჰიბრიდების წარმატებითი გამოყვანის შესახებ მოახსენა კონფერენციას ა. ს. მუსიეიკომ. საინტერესო და მეცნიერებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ავრეთვე ბევრი სხვა მომხსენებლის ცნობები, სხვადასხვა მცენარეთა ბუნების შეცვლის შესახებ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

რამდენიმე სიტყვა ბაბის შესახებ. საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი იყო ს. ს. სადიკოვის, ი. კ. მაქსიმენკოსა და სხვათა ცნობები ბაბმაზე მუშაობის შესახებ. მაგრამ ამ კულტურისათვის, ისევე როგორც სითბოსმოყვარული სხვა კულტურებისათვის, ჯერ კიდევ არის ნაპოვნი სწორი და მარტივი საშუალებანი, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ სწრაფად და მტკიცედ შეეცვალოთ მათი ბუნება პრაქტიკისათვის საჭირო მიმართულებით. ჩვენი მეცნიერების მიერ აღმოჩენილი ბიოლოგიური კანონები ხომ საკრთოა ყველა მცენარის, ცხოველისა და მიკროორგანიზმისათვის. საჭიროა სელექციონერებმა იცოდნენ ეს კანონები და ისწავლონ მათი გამოყენება პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს. უკვე აღმოჩენილი ბიოლოგიური კანონების საფუძველზე უნდა მუშავდებოდეს მცენარეული ფორმების, ამ შემთხვევაში ბაბმის, სპეციფიკაზე დაყრდნობით საშუალებანი მათი ბუნების შეცვლისა სასურველი მიმართულებით, მაგალითად შემცირდეს ბაბმის მემკვიდრეობითი სითბოსმოყვარეობა. ამიტომ მე დაფინებით ვურჩევ სელექციონერებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, უფრო ღრმად ჩასწვდნენ მიჩურინულ ბიოლოგიურ მეცნიერებას, რომელიც ვეთარდება, ჩასწვდნენ მის თეორიულ დებულებებს კონკრეტულ მაგალითებზე, თუნდაც საგაზაფხულო ხორბლის ჯიშების საშემოდგომო ჯიშებად ან საშემოდგომო ჯიშების საგაზაფხულო ჯიშებად გადაქცევის მაგალითზე.

საჭიროა აგრეთვე მეცნიერული მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, იმ მეცნიერული მუშაობისა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხმარება პრაქტიკას. ძალიან კარგი იქნება, თუ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო პერიოდულად მოაწყობს 5-10-დღიან სემინარებს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მუშაკებისათვის გამოცდილების ურთიერთ გაზიარების, თეორიული კვალიფიკაციის ამაღლების, ბიოლოგიური თეორიის იმ ახალი ქმედითი დებულებების დაუფლების მიზნით, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში გამოსვლის საშუალებას იძლევიან.

ორგანიზმების მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის არსის შესახებ

გარემოს პირობები წამყვანია ორგანული სამყაროს განვითარებაში. გარემოს პირობებიდან პირველად წარმოიშვა ცოცხალი სხეული, და შემდეგში ცოცხალი სხეულები იქმნებიან გარემოს შესაბამისი პირობებიდან. ამიტომ ცოცხალი სხეული წარმოადგენს სხეულის და გარემოს შესაბამისი პირობების ერთიანობას. ეს ერთიანობა მდგომარეობს ასიმილაციაში, გარეშე გარემოს პირობების დამსგავსებაში მოცემულ სხეულთან. ამასთან გარეშეულ უნდა ვგულისხმობდეთ იმას, რის ასიმილაცია ხდება, ხოლო შინაგანად, ესე იგი სხეულად, იმას, რაც ასიმილაციას ანდგენს. ორგანიზმში ცოცხალი სხეულის თვითეული ნაწილაკი შინაგანია თავისი თავისათვის და გარეშეა ორგანიზმის სხვა ნაწილაკებისათვის. ამიტომ ასიმილაცია მუდამ დაკავშირებულია დისიმილაციასთან. ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა ხორციელდება ასიმილაციისა და დისიმილაციის საშუალებით, იმ ნივთიერებათა წყაროს, რომლებიც სიცოცხლესნარიანი სხეულის საშუალებით ცოცხალი ხდებიან, გარეშე გარემო წარმოადგენს.

სიცოცხლისუნარიანი სხეულისათვის აუცილებლად დამახასიათებელია ასიმილაცია და დისიმილაცია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ცოცხლისათვის დამახასიათებელია კვება, უკვებობა, უასიმილაციოდ და უდისიმილაციოდ ცოცხალი სხეული არაცოცხალი ხდება. **მაგრამ თუ ასეთ სხეულს, რომელიც ცოცხალი აღარ არის, დარღვეული არა აქვს სტრუქტურა, იგი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, მას უნარი შესწევს ცოცხალი გახდეს, თუ არსებობს გარემოს პირობები ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესისათვის.** ასეთ სხეულს უნარი აქვს ცოცხალი გახდეს კვების განახლებისას. საერთოდ, როცა ცოცხალი სხეული აღარ არის ცოცხალი, იგი შეიძლება იყოს ორ მდგომარეობაში: არაცოცხალი, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი, როცა მას დარღვეული არა აქვს სტრუქტურა, და არაცოცხალი — მკვდარი, როცა მას დარღვეული აქვს სტრუქტურა და უნარი აღარა აქვს დაამყაროს ერთიანობა გარემოს სათანადო პირობებთან, უნარი აღარა აქვს მოახდინოს მათი ასიმილაცია.

თუმცა ორგანული ფორმების და ორგანული სამყაროს განვითარებაში წამყვანია საერთოდ გარემოს პირობები, მაგრამ განვითარების აქტიურად შეარჩევს პირობებს, რომლებიც მას ასიმილაციისათვის სჭირდება, და იგივე აქტიურად უწევს წინააღმდეგობას ასიმილაციის პროცესში მისთვის უცხო პირობების, ფორმითა და მდგომარეობით მისთვის უცხო ნივთიერებების ჩართვას.

მაშ რა პირობები ესაჭიროება ცოცხალ სხეულს სიცოცხლისათვის, ასიმილაციისათვის, ზრდისა და განვითარებისათვის? ამ კითხვაზე პასუხი შემდეგი იქნება. საჭიროა ის პირობები, რომლებიდანაც და რომლებშიც ცოცხალი სხეული პირველად წარმოიშვა, ის პირობები, რომლებიდანაც და რომლებშიც წარმოიშვა მოცემული ფიზიოლოგიური პროცესი. ეს პირობებიცვა საჭირო ამ ფიზიოლოგიური პროცესის განამტკიცებლად მომდევნო თაობებში. სწორედ ამაში მდგომარეობს ცოცხალი სხეულის მემკვიდრეობითი თვისებების არსი. ცოცხალ სხეულს აუცილებლად ახასიათებს **მოთხოვნილება** ისეთი პირობების ასიმილაციისა და მათი გადაქცევის ისეთი ფორმებისა, რომლებიდანაც და რომელთა საშუალებითაც იგი პირველად მიღებულ იქნა.

რამდენი მემკვიდრეობითი თვისება აქვს ორგანიზმს? ორგანიზმს აქვს იმდენი მემკვიდრეობითი თვისება, რამდენიც მას აქვს სხვადასხვა ფიზიოლოგიური პროცესი, ესე იგი ეფექტი ან ურეაქციებისა იმ პირობების ზემოქმედებაზე, რომლებიც მას არ ესაჭიროება. თვითეულ ცოცხალ სხეულს, თვითეულ ორგანიზმს რეაქციების აურაცხელი მემკვიდრეობითი თვისებები აქვს. **მემკვიდრეობითობა — ეს არის ცოცხალი სხეულის მოთხოვნილება სიცოცხლის გარკვეულ პირობებზე და გარკვეული რეაქციები იმ პირობების ზემოქმედებაზე, რომლებიც სიცოცხლისათვის საჭირო არ არის, მაგრამ რომლებიც არსებობენ გარემოში და ზემოქმედებას ახდენენ ცოცხალ სხეულზე.**

ფუ გარემოში არ არის ესა თუ ის პირობები, რომლებიც საჭიროა მოცემული ფიზიოლოგიური პროცესის გაჩენისა და მიმდინარეობისათვის, ეს პროცესი ვერ გაჩნდება და ვერ განხორციელდება, თუ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის სიცოცხლისა და განვითარებისათვის, შეწყდება ორგანიზმის სიცოცხლე ან შეჩერდება მისი შემდგომი განვითარება. ორგანიზმი თითქოს დაელოდება იმ პირობების გაჩენას, რომლებიც საჭიროა მოცემული ფიზიოლოგიური პროცესის გაღლისათვის. მაგალითად, საშემოდგომო პურეულის გაზაფხულზე დათესვისას მეცნიერებში არ ხდება იაროვიზაციის პროცესი, რადგან ტემპერატურა დაწეული არ არის, მეცნიერე თითქოს ელის დაწეული ტემპერატურის დადგომას, და როცა ასეთი ტემპერატურა დადგება, ჩნდება და მიმდინარეობს იაროვიზაციის პროცესი.

საერთოდ, თუ საჭირო პირობები არ არის, მოცემული მემკვიდრეობითი თვისების რეალიზაცია არ მოხდება, შინაგანი შესაძლებლობა (უფრო სწორად, აუცილებლობა) არ იქცევა მატერიალურ სინამდვილედ, მოცემულ შემთხვევაში ფიზიოლოგიურ სინამდვილედ. თუ ამ პროცესის გაუვლელად ორგანიზმს შეუძლია შემდგომ განვითარდეს, მაშინ წარმოუქმნელი ნიშანი ან თვისება არ ჩანს, როგორც იტყვიან, რეცესივში რჩება. მაგრამ შინაგანი შესაძლებლობა ან აუცილებლობა შემდეგ თაობაშიც რჩება; საჭირო პირობების არსებობისას ეს პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს და, მაშასადამე, ორგანიზმს ექნება მოცემული ნიშანი ან თვისებაც. აი რატომ არის, როგორც ეს ადვილად შეიძლება შევამჩნიოთ მეცნარეულ და ცხოველურ ორგანიზმებს, რომ თვითეულ მოცემულ თაობაში ყველა მემკვიდრეობითი თვისების რეალიზაცია როდი ხდება. მემკვიდრეობითი თვისებებით თანაბარ ორგანიზმებს შორის არის ნიშნებისა და თვისებების განსხვავება, ემჩნევა ეგრეთწოდებული არამემკვიდრეობითი ვარიაცია, ფლუქტუაცია.

მაშ რა გზით კარგავს ცოცხალი სხეული ამა თუ იმ ძველ მემკვიდრეობის თვისებებს და იძენს ახალ თვისებებს? გაგახსენებთ, **რომ მემკვიდრეობითობა — ეს არის საჭიროება ასეთი თვისებებისა მოცემული ფიზიოლოგიური პროცესის გაჩენისა და გაღლისათვის, რომლადანაც იგი წინა თაობებში წარმოიშვა.** შემდეგ, ცოცხალ სხეულს აქვს აქტიური უნარი შეარჩიოს გარემოდან მისთვის საჭირო პირობები და აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს უცხო, ე. ი. ახალი პირობების ჩართვას ასიმილაციის პროცესში. სწორედ ამას ეწოდება მემკვიდრეობითი თვისებების კონსერვატიზმი. მემკვიდრეობითობის კონსერვატიზმი **უზრუნველყოფს ორგანული ფორმების მდგრადობას, ხელს უშლის** იმას, **რომ ეს ფორმები შეიცვალოს გარემოს პირობების ზემოქმედებით.**

მემკვიდრეობითი თვისებების კონსერვატიზმი შედეგია ორგანიზმში პროცესების ფიზიოლოგიური შეხამებულობისა, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლისუნარიანი სხეულის გარკვეულ ქიმიურ და ფიზიკურ სტრუქტურასთან, მის აგებულებასთან. სწორედ ეს განაპირობებს მცენარეული და ცხოველური ფორმების შეფარდებითს მედგრეობას თაობებში, ორგანიზმებე ისე, რომ ქიმიმქმედ-

ოდ, რომ მოცემული ფიზიოლოგიური პროცესების გაღლისას მას შეეძლოს ითვისება, ასიმილაცია ახალი, ე. ი. ისეთი პირობებისა, რომლებიც მას არ ახასიათებს, საჭიროა დაკარგდეთ, შეგარყიოთ ამა თუ იმ მემკვიდრეობითი თვისებების შეხამებულობა, ე. ი. კონსერვატიზმი.

ჯერ კიდევ ი. ვ. მიჩურინი წერდა, იმისათვის, რომ მემკვიდრეობითობა შეეცვალოთ, საჭიროა მცენარეული ორგანიზმი ვაიძულოთ მისი სხეულის ასაგებად ახალი პირობები ითვისოსო. ყველაზე ადვილად და მარტივად როგორც ი. ვ. მიჩურინმა გამოარკვია, ამის მიღწევა შეიძლება სხვადასხვა, მაგრამ მახლობელ. ბიოლოგიურ სახეობათა მცენარეების შეჯვარებით, ან ერთი სახეობის, მაგრამ მკვეთრად განსხვავებული პირობებიდან წარმომდგარი ფორმების შეჯვარებით. ვიხილეთ ბიოლოგიური სახეობანი ფიზიოლოგიურად შეუთავსებელია, ხდება სახეთაშორისი ჰიბრიდების დაშლა, დიფირენცია თაობებში წმინდა მშობლურ სახეობთა ფორმებად. შეიძლება წარმოიშვან მესამე სახეობანიც, რომლებიც სახეთაშორის შეჯვარებაში არ მონაწილეობდნენ. თუმცა სახეთაშორისი ჰიბრიდები თაობებში ამოსავალ სახეობებად იშლებიან, მაგრამ ამ სახეთა მცენარეული ფორმები გამოდის სხვანაირი, არა ისინი, რომლებიც აღებული იყო შესაჯვარებლად. სწორედ ეს სხვა, ახალი ფორმებია შედეგი ჰიბრიდული ფორმების მიერ იმ ახალი პირობების ასიმილაციისა, რომლებიც არ ახასიათებს შესაჯვარებლად აღებულ მშობლურ ფორმებს. სახეთაშორისი შეჯვარებისას მემკვიდრეობითი თვისებების კონსერვატიზმი მიღებულ ჰიბრიდებში ძლიერ დარღვეულია. ამიტომ ასეთ ორგანიზმს შეუძლია მოაგრონოს იმ პირობებს ასიმილაცია, რომლებიც შესაჯვარებლად აღებულ მშობლურ ფორმებს არ ახასიათებს. სწორედ ამიტომ აუცილებელია სახეთაშორისი შეჯვარებით მიღებულ მცენარეულ ჰიბრიდებს ბზრდადეთ შესაბამის პირობებში ომსათვის, რომ ვიღებდეთ არა საეროდდ ახალ ფორმებს, არამედ საჭირო ფორმებს, საჭირო ჯიშებს. ადვილად შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ერთი და იმავე სახეთაშორისი შეჯვარებისაგან, თუ ჰიბრიდულ მცენარეებს სხვადასხვა პირობებში გაუზრდით, სამეურნეო ღირებულების მხრივ სხვადასხვა ჯიშებს მივიღებთ.

ეს იმით აიხსნება, რომ თუმცა ცოცხალი იქმნება სიცოცხლისუნარიანის მეშვეობით, მაგრამ და იქმნება არაცოცხლისაგან, და იმის მიხედვით, თუ რა არაცოცხალი ნივთიერებებისა და პირობებისაგან არის იგი პირველად შექმნილი, ასეთი იქნება მისი (ცოცხლის) მემკვიდრეობითობაც. ესე იგი იმავე ნივთიერებებისა და პირობების საჭიროება განვითარების გამეორებისათვის მომდევნო თაობებში.

პურეულის საგაზაფხულო ჯიშების საშემოდგომოდ გადაქცევის მრავალი ცდით დადგენილია, რომ ხორბლის მცენარის სხეული, რომელსაც საშემოდგომობის მემკვიდრეობითი თვისება აქვს (ნაცვლად საგაზაფხულოობისა), იქმნება საშემოდგომო პირობების ასიმილაციის პროდუქტებიდან ზრდის წერტილში. გარეგანი ფაქტორებიდან მთავარი, რომელიც განსაზღვრავს საშემოდგომოობის მემკვიდრეობითს თვისებას, არის შესაბამისი ტემპერატურის დროს ასიმილირებული საშემოდგომო სინათლის თვისება, აგრეთვე ტემპერატურა, რომლის დროსაც ამ პირობებიდან შენდება მცენარის ზრდის წერტილის სხეული. ცდები ცხადყოფს, რომ ერთი და იმავე საგაზაფხულო ჯიშისაგან საშემოდგომო ფორმებად მისი გადაქცევისას ჰაკის პირობების ძრნე სხვადასხვა რაიონებში ვიღებთ სხვადასხვა საშემოდგომო მცენარეებს, რომლებსაც ზამთარგამძლეობის სხვადასხვა მემკვიდრეობითი თვისებები აქვთ. როგორც წესი, წარმოიშობა ზამთრის იმ ცუდი პირობების წინააღმდეგ გამძლეობის მემკვიდრეობითი თვისებები, რომლებიც ახასიათებს რაიონს, რომლის შემოდგომის პირობებთაც იქნებოდა საშემოდგომო ფორმები საგაზაფხულო ფორმებიდან.

საგაზაფხულო ფორმების საშემოდგომო ფორმებად გადაქცევის ექსპერიმენტები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ცოცხალი არა მარტო ოდესღაც, სადღაც, რაღაც ჩამოყალიბებულ პირობებში პირველად გაჩნდა (წარმოიშვა) არაცოცხლიდან, არამედ შემდეგაც ცოცხალი ყოველთვის წარმოიშობა არაცოცხლიდან ცოცხლის მეშვეობით. ცოცხალი (ორგანიზმი) ქმნის პირობებს არაცოცხლის ცოცხლად გადაქცევისათვის. მაგრამ ვინაიდან ცოცხალს ახასიათებს კონსერვატიულობა, ესე იგი გარემომცველი გარემოდან მისთვის საჭირო პირობების შემრჩევობა, შთამომავალნი, როგორც წესი, თავიანთი წინაპრების შესატყვისნი არიან, დიდად ჰგვანან მათ. ხოლო თუ მემკვიდრეობითობის კონსერვატიზმი დარღვეულია, თუ პირობების შემრჩევობა მოცემული ფიზიოლოგიური პროცესის წარმოშობისა და გაღლისათვის შესუსტებული ან ლაკვიერებულია, შეიძლება მოხდეს ახალი პირობების ასიმილაცია. ამ შემთხვევაში ვიღებთ უკვე სხვა ცოცხალ სხეულს, რომელსაც ახასიათებს სხვა მემკვიდრეობითი თვისებები, ესე იგი სხვა შემრჩევობა გარემოს პირობებისადმი.

მოცემული ფიზიოლოგიური პროცესის მომდევნო თაობებში **განვითარების გამეორებისათვის საჭირო** იქნება ის პირობები, რომლებდანაც ეს პროცესი წინა თაობაში წარმოიშვა. სწორედ ამაში მდგომარეობს ორსი მემკვიდრეობითობის ადეკვატური ცვალებადობისა. იმ პირობების ადეკვატურისა, რომლებიდანაც პირველად წარმოიშვა მოცემული შეცვლილი ცოცხალი სხეული. თავისთავად ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ცოცხალი სხეულის აგების ცვლილებაზე განვითარების პროცესში, ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესში, და არა მექანიკურ თუ ქიმიურ დაზიანებათა შედეგად.

როცა ცოცხალ მცენარეულ და ცხოველურ სხეულებს ზემოქმედებას ვახდენთ რადიაციით, გამოსხივებებით თუ სხვადასხვა ძლიერ მოქმედი ქიმიური ნივთიერებებით, ხდება არა მემკვიდრეობითობის შეცვლა, არა ცოცხალი სხეულის აგება, არამედ მისი სტრუქტურის დარღვევა. თუ ასეთი ზემოქმედებისას მისი სტრუქტურა ძალიან ძლიერ არ არის დარღვეული და ცოცხალ სხეულს შეუძლია კიდევ იცოცხლოს, ესე იგი ასიმილაციას ახდენდეს, მაშინ გარემოს იმ პირობებიდან, რომლების ასიმილაციაც ხდება, წარმოიშობა ცოცხალი სხეულის ახალი, ე. ი. შეცვლილი უბნები. ამ შეცვლილი უბნების მემკვიდრეობითი თვისებები, აგრეთვე ადეკვატური, შესაბამისი იქნება, მაგრამ არა ზემოქმედების ფაქტორებისა, ე. ი. არა რადიაციისა თუ ქიმიური ნივთიერებებისა, რომლებმაც ცოცხალი სხეულის სტრუქტურა დაარღვიეს, არამედ იმ პირობებისა, რომელთაგან ასიმილაციის გზით წარმოიშვა ეს შეცვლილი ცოცხალი სხეული.

ვაისმანისა და მორგანი ამტკიცებდნენ, ხოლო მათი მიმდევრებნი არსებითად დღემდე ბიოლოგიურ მეცნიერებაში კვლავ ამტკიცებენ, რომ შთამომავალნი მიიღებიან არა მშობელთა ცოცხალი სხეულიდან, არამედ ეგრეთწოდებული ჩანასახის პლაზმიდან, განსაკუთრებული მემკვიდრეობითი ნივთიერებიდან; ამავე მემკვიდრეობითი პლაზმიდან მიღებულია ყველა წინა თაობაც. ცოცხალი სხეული (სომა) მოკვდავია, ხოლო ჩანასახის პლაზმა უკვდავიაო. ვაისმანის შემდეგ ჩანასახის პლაზმას შეარქვეს მემკვიდრეობითი ნივთიერება, რომელიც შემდგომია გენებისაგან, ე. ი. ის რაღაც განსაკუთრებული მემკვიდრეობითი ნივთიერებისგან, რომელიც უჯრედის ბირთვებშია, ახლა ამტკიცებენ, რომ მემკვიდრეობითი ნივთიერება დეზოქსირიბონუკლეინის მჟავაა. ასეთი მტკიცებებიდან გამომდინარეობს, რომ ცოცხალ სხეულს, რომელსაც სომა ეწოდება, მემკვიდრეობითობის თვისება არ გააჩნია, მემკვიდრეობითობა, მათი აზრით, აქვს განსაკუთრებულ, ცალკეულ ნივთიერებას, რომელიც იმყოფება ცოცხალ სხეულში (სომაში). სწორედ ასეთი მემკვიდრეობითი ნივთიერების ძიებისაკენ არის მიმართული ეგრეთწოდებული ქიმიური და ფიზიკური გენეტიკის მუშაკთა ღონისძიებანი.

ახალ თაობათა ჩანასახები სომიდან — მშობლებიდან რომ არ წარმოიშობიან, იქ რომ არ იღებენ დასაწყისს, — ამაში ვაისმანი და მისი მიმდევარნი მართალი არიან. სწორია ისიც, რომ შთამომავალთა წარმოშობის პირველწყარო იგივეა, რომელიც პირველწყარო იყო ყველა წინა თაობისთვისა

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხები ყურადღების ცენტრშია

საზღვარგარეთის პრესის ყურადღება მიიპყრო ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხმა გაზეთ „ესპანია პოფულარის“ რედაქციის კითხვებზე.

ინგლისური „დეილი ექსპრესი“, ფრანგული „ფიგარო“ და პრესის სხვა ორგანოები განსაკუთრებით გამოყოფენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ესპანეთის მმართველი წრეები, რომლებმაც თავიანთი ქვეყნის ტერიტორია ამერიკის ბაზებს დაუთმეს, უდიდეს საფრთხეს უქმნიან ესპანეთს. გაზეთები აქვეყნებენ ინფორმაციას, რომ საფრანგეთის სახელმწიფო მოდვაწეთა ჯგუფი ეწვია მადრიდს, აგრეთვე ესპანეთ-ამერიკის მომავალი სამხედრო მოლაპარაკების შესახებ.

მთელი უცხოეთის პრესისათვის საერთო თემაა მოლაპარაკების განახლება ბრიუსელში „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის შესახებ. ამ თემას ფართოდ განიხილავს პრესა. კომენტარებში გაშუქებულია იმ საკითხთა მთელი კომპლექსი, რომლებიც ცდაყოფენ წინააღმდეგობათა უაღრესად გამწვავებას ატლანტიკური ბლოკის მონაწილე ქვეყნებს შორის. ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების პრესის გამონათქვამებს წითელ ზოლად გასდევს აზრი იმის შესახებ, რომ ბრიუსელის მოლაპარაკების კვთილი დასასრულის შანსები მეტად უმნიშვნელოა. ვაშინგტონის „სტარის“ ბრიუსელელი კორესპონდენტი წერს, რომ ბრიუსელში სუფევს „თითქმის სამგლოვიარო ატმოსფერო“.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ პირველ გვერდზე აქვეყნებს ცნობას მოხსენების შესახებ, რომელიც შეადგინა კენედის დავალებით სენატორთა ჯგუფმა. მოხსენების ავტორები მოითხოვენ კარდინალურად გადაისინჯოს ამერიკის პოლიტიკა ევროპაში, თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები კვლავაც უარს იტყვიან იკისრონ „ევროპის თავდაცვის ტვირთის მეტი ნაწილი“.

უცხოეთის პრესის მიმოხილვა

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი დ. ლოურენსი ალიარებს თავის სტატიაში, რომელიც მიუძღვნა პრეზიდენტ კენედის მიერ დაგეგმილ გადასახადების შემცირებას, რომ ეს ღონისძიება არავითარ სარგებლობას არ მოუტანს ამერიკელთა უმრავლესობას.

იაპონიის გაზეთი „ასახი“ აცხადებს მოწინავე სტატიაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული არიან სერიოზულად გადახედონ თავიანთი პოლიტიკა ევროპის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ დე გოლი შეუძლოვარ წინააღმდეგობას უწევს ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“ და ამით ხელს უშლის ამერიკის შეერთებული შტატების გეგმების შესრულებას.

ინგლისისა და ამერიკის პრესა კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა ახლანდელ მოლაპარაკებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ინგლისური „სანდი ტაიმსის“ აზრით, მოლაპარაკების ამ სტადიაზე „ჯერ კიდევ არის ზოგიერთი დაბრკოლება, რომელთა გადალახვა შესაძლებელია“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მიიჩნევს ლეონრი სახლის განცხადებას მიწისქვეშა ატომური გამოცდების შეჩერების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების კეთილი ნების გამოვლინებას. ამავე დროს, წერს გაზეთი, ეს ჯერის, მეთვალყურეთა აზრით, მანევრი, რასაც მიმართეს იმისათვის, რომ მოხსნან ამერიკის შეერთებულ შტატებს პასუხისმგებლობა მოლაპარაკების ჩაფუშვის შემთხვევაში.

ინდოეთის დედაქალაქის პრესა მთავარ ყურადღებას აქცევს ზეიმს ინდოეთის რესპუბლიკის დღის გამო. გაზეთები იუწყებიან, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა მისასალმებელი წერილები გაუგზავნეს ინდოეთის ხელმძღვანელებს.

ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ აქვეყნებს ცნობებს ბულგარეთის ყოველი კუთხიდან იმის შესახებ, რომ მშრომელები თავდადებით და წარმატებით იბრძვიან თოვლის სტაქიის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ უზრუნველყონ ნორმალური მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებები და გამოსვლა გამოქვეყნდა უნგრეთსა და ლიგანში

ბუდაპეშტი, 26 იანვარი. (საკდესი). კოშუტის სახელობის სახელმწიფო გამოცემლობამ ორ ბროშურად გამოუშვა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებანი. ერთი მათგანი, რომელსაც სათაურად აკვს „სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა“, შეიცავს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სკკა ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმზე. მეორე ბროშურა „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა“ შეიცავს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1962 წლის 12 დეკემბერს.

ბეირუთი, 29 იანვარი. (საკდესი). ყოველკვირეულმა „ალ-აჰბარმა“ გამოაქვეყნა სრული ტექსტი ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლისა გერმანიის მართიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე.

ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

დელი, 28 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ინდოეთის მთავრობის თხოვნით გამოგზავნის ინდოეთში სამხედრო მრეწველობის დარგის ექსპერტთა მისიას, ოფიციალურად გამოაცხადა დღეს ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ამერიკელი ექსპერტები, რომლებიც თებერვლის დამდეგს ჩამოვლენ ინდოეთში, ინდოეთის ოფიციალურ პირებთან ერთად განიხილავენ ინდოეთის სამხედრო მრეწველობის გაფართოების საკითხებს.

ჩინეთის ახალი ამგები

პეკინი, 28 იანვარი. (საკდესი). ახლა ათასზე მეტი კაცი მეცადინეობს ხუბეის პროვინციაში მოკლევადიან კურსებზე, რომლებიც ამზადებენ მექანიზატორთა, მეცხოველეთა, სელეექციონერთა და მეშეცარეობის სპეციალისტთა კადრებს.

ჩრდილოეთ ჩინეთის ამ პროვინციის ყოველ რაიონში ახლა არის აგროტექნიკური სადგური, რომლებშიც მუშაობს უმაღლესი ან საშუალო განათლების მქონე ოთხი-ხუთი სპეციალისტი.

მეორე ხუთწლედში ძიანსუს პროვინციაში აშენდა 29 საწარმო, რომლებიც უშვებენ პლასტმასისა და სინთეზური მასალებისაგან დამზადებულ ფართო მოხმარების საქონელს. ეს საწარმოები ახლა ამზადებენ ორასზე მეტი სხვადასხვა სახეობის პროდუქციას. ძიანსუში, სადაც განთავისუფლებამდე მხოლოდ რამდენიმე ძველი ფაბრიკა და ნახევრად შენამრეწველური საწარმო იყო, ახლა აშენებულია ასობით ფაბრიკა და ქარხანა. ისინი ამზადებენ საათებს, სხვადასხვა საოჯახო საგნებს, ავტოკალმებსა და ბევრ სხვა საქონელს, რომელთაც წინათ არ აწარმოებდნენ პროვინციაში.

სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის უდიდესი ქალაქის — ჩუნცინის თვალწარმტაცე რაიონებში გაშენდა შვიდი ახალი პარკი, რომლებშიც არის სხვადასხვა პავილიონები, ფანჩატურები და გალერეები. პარკებში შექმნილია ხელოვნური ტბები, აშენებულია ბავშვთა მოედნები.

ყველაზე დიდი პარკის ტერიტორიაზე განლაგებულია საქალაქო ზოოპარკი, რომლის ფართობი 40 ჰექტარს შეადგენს. ზოოპარკში არის ცხოველთა და ფრინველთა მრავალფეროვანი კოლექცია. მათ შორის დიდი პანდები და ცხოველთა სამყაროს სხვა იშვიათი წარმომადგენლები.

პეკინი, 29 იანვარი. (საკდესი). სულ ოთხი წლის წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით შეიქმნა ჩინეთში პირველი პეკინის ტელევიზიცენტრი, ახლა კი სატელევიზიო ცენტრები მუშაობენ შანხაიში, შენიანში, ხარბინში, ტიანძინში, გუანჯოუსა და სხვა ქალაქებში.

რადიო, ტელევიზია სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება ჩინეთის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა ყოფაცხოვრებაში. ყოველ პროვინციასა და ავტონომიურ რაიონს ახლა აქვთ თავიანთი ფართო მაუწყებელი რადიოსადგურები.

პეკინის ცენტრალური სახალხო რადიოსადგური ყოველდღე აწარმოებს შიდა გადაცემებს სამი პროგრამით. პეკინის ცენტრალური რადიოსადგური ახორციელებს რეგულარულ გადაცემებს საზღვარგარეთისათვის.

აიკრძალოს აჭრომის გამოცდა

ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

დელი, 28 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ინდოეთის მთავრობის თხოვნით გამოგზავნის ინდოეთში სამხედრო მრეწველობის დარგის ექსპერტთა მისიას, ოფიციალურად გამოაცხადა დღეს ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ამერიკელი ექსპერტები, რომლებიც თებერვლის დამდეგს ჩამოვლენ ინდოეთში, ინდოეთის ოფიციალურ პირებთან ერთად განიხილავენ ინდოეთის სამხედრო მრეწველობის გაფართოების საკითხებს.

ამერიკის პრესა ინდოეთის ომის შესახებ

ინდოეთის ომი ჩინეთთან ამერიკის ბეჭდვითი ორგანოებიც ფართოდ აშუქებენ. ინდოეთ-ჩინეთის ომი

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲠᲔᲚᲘᲙᲕᲘᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲓᲐᲜ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲢᲐᲜᲙᲔᲠᲛᲐ „ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲛᲐ“ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲣᲒᲓᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜ-ᲒᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲠᲝᲨᲐ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲠᲔᲚᲘᲙᲕᲘᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲡᲐᲕ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲪᲚᲔᲚᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲐᲠᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲘᲚᲕᲐᲜᲘ ᲞᲝᲔᲛᲐ „ᲛᲝᲬᲛᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲡ“.

ᲐᲘ ᲠᲐ ᲣᲛᲐᲛᲑᲝ ᲑᲐᲗᲣᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲢᲐᲜᲙᲔᲠ „ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲡ“ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲘᲡ:

— ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲐᲜᲙᲔᲠᲘ ᲒᲔᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲕᲣᲒᲓᲐᲠᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ. ᲒᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲔᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲘᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, „ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ“ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲕᲓᲗᲠᲔ ᲞᲝᲚᲔᲢᲐᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐ ᲡᲘᲧᲕᲘᲓᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲑᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲐᲭᲘᲚᲓᲝᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲔᲢᲐᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲐ ᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲩᲔᲜᲓᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ. ᲛᲐᲗ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲒᲝᲜᲐ ᲘᲡ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲬᲘᲣᲚᲘ ᲘᲧᲜᲐ ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲖᲠᲓᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲔᲝᲩᲕᲡᲔ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ. ᲛᲐᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲣᲩᲕᲔᲜᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ — ᲛᲔᲓᲐᲚᲘ „ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ“ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲘᲡ ᲞᲝᲚᲔᲢᲐᲔᲕᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲗᲘ — „ᲮᲔᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲐᲮᲚᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲪᲚᲔᲚᲘᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

— ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲘᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, „ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ“ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲕᲓᲗᲠᲔ ᲞᲝᲚᲔᲢᲐᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲒᲝᲜᲐ ᲘᲡ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲬᲘᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲖᲠᲓᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲔᲝᲩᲕᲡᲔ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ. ᲛᲐᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲣᲩᲕᲔᲜᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ — ᲛᲔᲓᲐᲚᲘ „ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ“ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲘᲡ ᲞᲝᲚᲔᲢᲐᲔᲕᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲗᲘ — „ᲮᲔᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲡ“ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲗᲔᲕᲓᲗᲠᲔ ᲞᲝᲚᲔᲢᲐᲔᲕᲘᲡ ᲜᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲗ ᲛᲔᲝᲩᲕᲡᲔ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐ ᲠᲘᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲡᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲔᲢᲐᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲡ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲒᲝᲜᲐ ᲘᲡ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲬᲘᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲖᲠᲓᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲔᲝᲩᲕᲡᲔ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ. ᲛᲐᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲣᲩᲕᲔᲜ